საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბულაშვილი ანზორ სიმონის ძე

ა. აბულაშვილი

აბულაშვილი ანზორ სიმონის ძე (3. V. 1932, სოფ. ჯუგაანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, –14. VIII. 2013, თბილისი), პოეტი.

დაამთავრა თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი (1961). 1962 – 79 მუშაობდა ჟურნ. „დილის“ რედაქციაში, 1980-იდან – გამომც. „ნაკადულში“, ამავე დროს იყო ალმანახ „ჯეჯილის“ მთ. რედაქტორი. პირველი ლექსი 1950 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – საბავშვო პოემების კრებ. „ჩემი ნაცნობი ბიჭები“ – 1961. ა. ავტორია კრებულებისა: „ლექსები“ (1966), „ლექსები“ (1968), „საუბარი გრძელდება“ (1972), „ლექსები“ (1979), „კოშკები“ (1980), „ლექსები“ (1981), „მოდიოდა...“ (1983), „მარადიული შუქურა“ (1986), „ცხრაკარა“ (2004). პოპულარულია მისი ლექსი „მახარობელი“ („წუხელის ბიჭი დაბადებულა“), რ-იც 2004 ცალკე დაიბეჭდა, და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია რამდენიმე უცხოურ ენაზე.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.